ხელშეკრულება № 79

ქ.რუსთავი 21 დეკემბერი 2012 წელი

ა.ა.ი.პ. „ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში „მყიდველი“), მისი დირექტორის ია ქელბაქიანის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს. “ტალარია“ (შემდგომში „გამყიდველი“), ლალი ჩიქოვანის სახით, მეორეს მხრივ, შევთანხმდით ურთიერთშორის და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით “გამყიდველი” მოვალეა გადასცეს “მყიდველს” საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

1.2. “მყიდველი” მოვალეა მიიღოს ნაყიდი ქონება და გადაუხადოს “გამყიდველს” შეთანხმებული ფასი.

## 2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საკანცელარიო საქონელი და მეთოდური მასალები სააღმზრდელო მუშაობისათვის.

2.2. ნასყიდობის საგანი განკუთვნილია 21–ე ფილიალისთვის.

## 3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

3.1. “გამყიდველი” მოვალეა გადასცეს “მყიდველს” საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

3.2. “გამყიდველი” მოვალეა “მყიდველს” გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

3.3. „გამყიდველი“ მოვალეა მიაწოდოს “მყიდველს” საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი საქონელი.

3.4. “მყიდველი” ვალდებულია მიიღოს ქონება და აანაზღაუროს მისი ღირებულება.

3.5. ქონების გადაცემა ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. ხელშეკრულების ობიექტის ღირებულება შეადგენს:

1. საკანცელარიო საქონელი – 200 (ორასი) ლარი.
2. მეთოდური მასალები სააღმზრდელო მუშაობისთვის 550 (ექვსასი) ლარი.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარს.

4.3. ანგარიშწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღებული საქონელის ღირებულების შესაბამისად.

4.4. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

### 5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისთანავე.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

**მხარეთა რეკვიზიტები**

| გამყიდველი | მყიდველი |
|---|---|
| შ.პ.ს. „ტალარია“ | ა.ა.ი.პ ქ.რუსთავის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანება |
| მის:ქ.რუსთავი, დუმბაძის ქ.№7–3 | მის:ქ.რუსთავი გ.ნიკოლაძის ქ.№16ა |
| ს/ნ 204542860 | ს/ნ 216439325 |
| ს.ს. „თიბისი ბანკი“ | ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ |
| ბ.კ TBCBGE22 | ბანკის კოდი 220101413 |
| ა.ა. GE06TB195903602010001 | ა/ა GE85LB0115115445188000 |